კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის
Coalition for an Independent and Transparent Judiciary

**მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარეს**
**კონსტანტინე კუბლაშვილს**

**ბატონო კონსტანტინე,**

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ეხმიანება 9 ივნისს გასამართ მოსამართლეთა კონფერენციას და აღნიშნავს ამ მოვლენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბების პროცესში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დადებითად ვაფასებთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საჯარო სხდომებზე გაკეთებულ არაერთ განცხადებას, რომ კონფერენციის სხდომა იქნება ღია, პროცესი კი – გამჭვირვალე. თუმცა, გვსურს მივმართოთ მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრებს რიგი პროცედურული საკითხების დაზუსტების მიზნით.

კერძოდ, როგორც ადმინისტრაციული კომიტეტის გასულ სხდომებზე აღინიშნა, დაინტერესებული პირების განთავსებისთვის განიხილება რამდენიმე ალტერნატიული ადგილი, მათ შორის, საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზის აივანი, ნაფიც მსაჯულთა და ბრალდებულთა განთავსების ადგილები. ვფიქრობთ, რომ კონფერენციის დაგეგმის დროს ადმინისტრაციულმა კომიტეტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გაითვალისწინოს:

- კონფერენციის მიმართ გამოხატული განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, მოსალოდნელია არამხოლოდ დამკვირვებელთა, არამედ სტუმართა და მედიის წარმომადგენელთა დიდი რაოდენობის დასწრება, რაც ქმნის საჭიროებას დარბაზში გაიმიჯნოს და გამოიყოს თითოეული ჯგუფის განთავსების ადგილი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში განხილულ იქნას კონფერენციის უფრო დიდ დარბაზში ჩატარება;
- მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულმა კომიტეტმა ასევე შექმნას შესაძლებლობა დამკვირვებელთა ნაწილი, ხმის მიცემისას განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ხმის მიცემის პროცესის ნათლად დანახვა, ისევე როგორც ხმების დათვლისას დაკვირების დაუბრკოლებლად განხორციელება. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხების დარეგულირება მოითხოვს დამატებით ინსტრუქციებს რეგლამენტის ცვლილებების პროექტში;

**კოალიციის წევრები:**

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
სოლიდარობა უკანონო პატიმრებს
საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი
ლიბერალი
კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
ასოციაცია მწვანე ტალღა
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
სამოქალაქო განვითარების სააგენტო
საქართველოს გაეროს ასოციაცია
ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
სამოქალაქო ინიციატივების და დასაქმებულთა დაცვის ასოციაცია
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

- იმისთვის, რომ ერთის მხრივ დამკვირვებლებისა და მედია საშუალებების საქმიანობამ არ შეაფერხოს კონფერენციის მიმდინარეობა და მეორეს მხრივ, არ დაბრკოლდეს თავად ამ ჯგუფების მუშაობა საჭიროა მათთვის გაიწეროს ადეკვატური ინსტურქციები და წინასწარ მოხდეს მათი გაცნობა, ისევე როგორც ადგილების განაწილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- მთლიანად პროცესისა და კონკრეტულად, ხმის დათვლის პროცედურის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, უმჯობესი იქნება, დარბაზში არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით პროცესის მიმდინარეობა გადაიცემოდეს სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანებზე. ამასთან, ხმის დათვლის დროს, პროცესის გადაღება და ეკრანზე გაშუქება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ხმის დამთვლელი კომისიის მიერ გახსნილი საარჩევნო ბიულეტენის ნათლად დანახვა ეკრანზე.

კოალიცია კიდევ ერთხელ გამოხატავს სურვილს თვალი მიადევნოს მოსამართლეთა კონფერენციის სხდომას და წარადგინოს საკუთარი წარმომადგენლები დამკვირვებლის სტატუსით. ამასთან, იმედი გვაქვს, რომ კონფერენციის მომზადება მოხდება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს როგორც კონფერენციის დაუბრკოლებლად ჩატარება, ასევე დამკვირვებლებისა და მედიის შეუფერხებლად საქმიანობა.

დავით ასათიანი
კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის
თავმჯდომარე

კახა კოჟორიძე
კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის
თავმჯდომარის მოადგილე